

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



45123635427818

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის
დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181042183



რეგისტრაციის თარიღი

31.08.2018 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდათერთმეტ აგვისტოს, მე, დავით ოყროშიძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #22/4, დავესწარი სააქციო საზოგადოება „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“-ს (რეგისტრირებული 07.06.2007წ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, სახელმწიფო რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) #205209059, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონში/ჭავჭავაძის გამზირი 74) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ჩატარდა მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-9 სართული, რის შესახებაც შევადგინე თანდართული ოქმი კრების მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“-ს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი

სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“-ს (შემდგომ ტექსტში „კეი“ ან „საზოგადოება“) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება (შემდგომში „კრება“) მოწვეულ იქნა „კეი“-ს წესდების 7.1.1. პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. *კრების* შესახებ ინფორმაცია და *კრების* დღის წესრიგი გამოქვეყნებულია სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე.

კრება გაიხსნა 2018 წლის 31 აგვისტოს, ადგილობრივი (თბილისის) დროით 11 საათზე, ქ. თბილისში, მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-9 სართული. *კრება* წარიმართა ქართულ ენაზე. *კრების* ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე.

„კეი“-ს წესდების 7.1.5 პუნქტის მიხედვით, კრებას თავმჯდომარეობდა „კეი“-ს გენერალური დირექტორი - ბ-ნი თამაზი მიქაძე (დაბ. 19.02.1970წ. ოზურგეთში, მცხოვრები მისამართზე: ქ. ქუთაისი, ავ. წერეთლის ქ. #276ა, ბ. 31, საქართველოს მოქალაქე, პირადი #60002003453).

კრებას ესწრებოდა „კეი“-ს აქციათა რეესტრის წარმომგებზე უფლებამოსილი - ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის სს „კავკასრეესტრი“-ს (ს/კ 211369115) წარმომადგენელი ბ-ნი თამაზ ხიზანიშვილი (პ/ნ 01025003399), რომლის მიერაც წარმოდგენილ იქნა *კრებაში* მონაწილეობის მიღებაზე უფლებამოსილ აქციონერთა სია, რომლებიც ფლობენ „კეი“-ს აქციებს 2018 წლის 23 ივლისის (18:00 სთ) (*კრების* სააღრიცხვო თარიღი) მდგომარეობით, აგრეთვე შემოწმდა *კრებაზე* ხმის უფლების მქონე აქციონერთა და მათ წარმომადგენელთა დასწრება.

კრების თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ კრებას ესწრებოდნენ (წარმოდგენილნი იყვნენ) „კეი“-ს აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლებამოსილების მქონე შემდეგი აქციონერები და მათი წარმომადგენლები, რომლებიც ფლობენ „კეი“-ს აქციებს *კრების სააღრიცხვო თარიღის* მდგომარეობით:

- ბიძინა ბეჟუაშვილი (დაბადებული 21.04.1971წ. თბილისში, პირადი #01017003399, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. მაჩაბლის ქ. #7), წარმოდგენილი მინდობილობით ანასტასი საფარიანის (პირადი ნომერი: 01011020083) მიერ, თანახმად მინდობილობისა, რომელიც 2018 წლის 14 აგვისტოს სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს ც. ბერიძის მიერ, რ/რ # 180968275;

- შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ (ს/კ 205207970), რომლის მფლობელობაში არსებულ აქციებს ხმის უფლებით წარმოადგენდა კომპანიის დირექტორი (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) ქ-ნი ნატალია მამიაშვილი (პ/ნ 01020005065);

კრებას დაესწრო (წარმოდგენილი იყვნენ) აქციების რეგისტრირებული მფლობელები, რომელთა კუთვნილი ან/და ნომინალურ მფლობელობაში არსებული აქციების საერთო რაოდენობაა 5 966 350 აქცია, რაც შეადგენს „კეი“-ს ხმის უფლების მქონე აქციათა 99.042 %-ს.

ქვორუმი შედგა. კრება უფლებამოსილია გადაწყვეტილებათა მისაღებად.

კრების თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ კრება მოწვეულია საქართველოს კანონმდებლობისა და „კეი“-ს წესდების შესაბამისად, ქვორუმი შედგა და კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგის საკითხებზე. დამსწრე აქციონერების მხრიდან არ გამოთქმულა შენიშვნები ან პრეტენზიები კრების მოწვევის პროცედურასთან ან დამსწრე/წარმოდგენილი აქციონერების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით.

კრების დღის წესრიგი:

1. საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის დამტკიცება შემდეგი პირობებით:

i. საზოგადოება გამოსყიდის საზოგადოების ყველა იმ არსებული აქციონერის ჩვეულებრივ აქციებს ვისაც სურს, რომ გავიდეს საზოგადოებიდან სრულად ან ნაწილობრივ (შემდგომში “**აქციათა გამოსყიდვა**”). საზოგადოების მიერ გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოების განთავსებული აქციების 25%, კერძოდ, ჯამში 1 505 990 ცალ ჩვეულებრივ აქციას. იმ შემთხვევაში, თუკი აქციონერები წარადგენენ მოთხოვნას აქციათა გამოსყიდვის თაობაზე 1 505 990 ცალზე მეტ აქციაზე, საზოგადოება ვალდებული იქნება გამოსყიდოს მხოლოდ 1 505 990 ცალი ჩვეულებრივი აქცია, პროპორციულად ყველა მსურველი აქციონერისგან, რომელმაც დროულად წარადგინა მოთხოვნა აქციათა გამოსყიდვის თაობაზე;

ii. აქციათა გამოსყიდვა მოხდება ნასყიდობის ფასით 1.13 ლარის ოდენობით 1 ცალი ჩვეულებრივი აქციისთვის (აღნიშნული ფასი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილია აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსით 2,4417. რადგანაც კომპანიის ძირითადი აქტივები წარმოდგენილია აშშ დოლარში, აქციების გამოსყიდვის მომდევნო რაუნდებში კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია შეიცვალოს აქციათა გამოსასყიდი ფასიც), ნასყიდობის ფასის გადახდა საქართველოს რეზიდენტი აქციონერებისათვის მოხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტა ლარში, ხოლო არარეზიდენტი აქციონერებისათვის ნასყიდობის ფასის გადახდა იწარმოებს აშშ დოლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. მითითებული ფასი არ მოიცავს რაიმე სახის საბროკერო მომსახურების საფასურს, რასაც გაიღებს ის აქციონერი, რომლის აქციათა გამოსყიდვაც ხდება საზოგადოების მიერ;

iii. აქციონერები, რომლებსაც სურთ, რომ საზოგადოებამ გამოსყიდოს მათი აქციები, ვალდებულნი არიან შეატყობინონ საზოგადოებას ამის თაობაზე არაუგვიანეს 2018 წლის 14 სექტემბრამდე და ამავე შეტყობინებაში, მიუთითონ გამოსასყიდი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა და საბანკო ანგარიშის ნომერი, სადაც სურთ, რომ ჩაერიცხოთ აქციათა ნასყიდობის ფასი; ამგვარი შეტყობინება აგრეთვე უნდა შეიცავდეს აღნიშნული აქციონერის მიერ საზოგადოების ან მისი მენეჯმენტის მიმართ, მანამდე ჩადენილი რაიმე დარღვევისათვის ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას, იმ პირობით, რომ ამგვარი უფლებაზე უარის თქმა ძალაში შევა მხოლოდ აქციათა გამოსყიდვის ფასის ამ აქციონერის მიერ სრულად მიღების შემდეგ;

iv. არაუგვიანეს 2018 წლის 19 სექტემბრისა, საზოგადოება აცნობებს იმ აქციონერებს, რომლებმაც წარადგინეს მოთხოვნა აქციათა გამოსყიდვის თაობაზე (iii) პუნქტით დადგენილი წესით, თუ რა რაოდენობის აქციების გამოსყიდვა შეუძლია საზოგადოებას მათგან, ზემოთ (i) პუნქტში მითითებული 25% ზღვრის ფარგლებში;

v. არაუგვიანეს 2018 წლის 25 სექტემბრისა, ყველა აქციონერი, რომელმაც წარადგინა მოთხოვნა აქციათა გამოსყიდვის თაობაზე, გადასცემს საზოგადოებას იმ რაოდენობის აქციას, რაც საზოგადოების მიერ ეცნობა ზემოთ (iv) პუნქტით დადგენილი წესით. საზოგადოება არ არის ვალდებული გამოსყიდოს აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი აქცია;

vi. არაუგვიანეს 2018 წლის 28 სექტემბრისა, საზოგადოება გადაუხდის ნასყიდობის ფასს თითოეულ იმ აქციონერს, რომელიც გადასცემს აქციებს საზოგადოებას აქციათა გამოსყიდვის პროცედურით დადგენილი წესით.

